19.08.2014

საქართველოს სოფლის მეურნეობა
2014 წლის II კვარტალი
(წინასწარი მონაცემები)

2014 წლის წინასწარი მონაცემებით, II კვარტალის ბოლოსათვის მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სულადობამ 1 389 ათასი სული შეადგინა, რაც წინა წლის II კვარტალის ანალოგიურ მაჩვენებელს 6.6 პროცენტით აღემატება. აქედან ფურის სულადობამ 641 ათასი შეადგინა. ცხვრისა და თხის ჯამური სულადობა წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 10.5 პროცენტით გაიზარდა და 1 156 ათას სულს მიაღწია. ღორის სულადობა 210 ათასი სული იყო, რაც 34.6 პროცენტით ნაკლებია წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე. 2014 წლის II კვარტალის ბოლოსათვის ფრინველის რაოდენობამ 12 133 ათასი ფრთა შეადგინა, რაც 13.6 პროცენტით აღემატება წინა წლის შესაბამისი კვარტალის მაჩვენებელს. ქვემოთ მოცემულ დიაგრამებზე წარმოდგენილია მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვისა და წვრილფეხა პირუტყვის სულადობა, აგრეთვე ფრინველის რაოდენობა 2007-2014 წლების II კვარტალის ბოლოსათვის.

მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სულადობა 2007-2014 წლების II კვარტალის ბოლოსათვის (ათასი სული)



* წინასწარი მონაცემები.

საკონტაქტო პირი: ვასილ წაქაძე ტელ.: (+995 32) 36 72 10 (500). E-mail: vtsakadze@geostat.ge info@geostat.ge
www.geostat.ge, info@geostat.ge

ცხვრისა და თხის სულადობა 2007-2014 წლების II კვარტალის ბოლოსთვის (ათასი სული)



* წინასწარი მონაცემები.

ღორის სულადობა 2007-2014 წლების II კვარტალის ბოლოსთვის (ათასი სული)



* წინასწარი მონაცემები.

საკონტაქტო პირი: ვასილ წაქაძე ტელ.: (+995 32) 36 72 10 (500). E-mail: vtsakadze@geostat.ge info@geostat.ge

ფრინველის სულადობა 2007-2014 წლების II კვარატალის ბოლოსათვის (ათასი ფრთა)



* წინასწარი მონაცემები.

წინასწარი მონაცემებით, 2014 წლის II კვარტალში წინა წლის ამავე პერიოდთან შედარებით, რძის წარმოება 5.9 პროცენტით გაიზარდა და 221.7 მლნ. ლიტრი შეადგინა. ხორცის წარმოება 9.1 ათასი ტონა იყო, რაც 2013 წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 17.3 პროცენტით ნაკლებია. 2014 წლის II კვარტალში კვერცხის წარმოებამ 144.6 მილიონი ცალი შეადგინა, რაც წინა წლის ამავე კვარტალის მაჩვენებელს 9.4 პროცენტით აღემატება. ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია 2007-2014 წლების II კვარტალში წარმოებული მეცხოველეობის პროდუქტების დინამიკა.

საკონტაქტო პირი: ვასილ წაქაძე ტელ.: (+995 32) 36 72 10 (500). E-mail: vtsakadze@geostat.ge info@geostat.ge

რძის წარმოება 2007-2014 წლების II კვარტალში (მლნ. ლიტრი)



* წინასწარი მონაცემები.

ხორცი ს წარმოება 2007-2014 წლების II კვარტალში (დაკლული წონა, ათასი ტონა)



* წინასწარი მონაცემები.

საკონტაქტო პირი: ვასილ წაქაძე ტელ.: (+995 32) 36 72 10 (500). E-mail: vtsakadze@geostat.ge info@geostat.ge

კვერცხის წარმოება 2007-2014 წლების II კვარტალში (მლნ. ცალი)



* წინასწარი მონაცემები.

ქვემოთ მოცემულ ცხრილებში დეტალურად არის წარმოდგენილი 2013-2014 წლების მაჩვენებლები პირუტყვის სულადობისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების შესახებ, კვარტალურ ჭრილში.

პირუტყვის სულადობა 2013-2014 წლებში კვარტალის ბოლოსათვის (ათასი სული)

	2013				2014*	
	I კვ.	II კვ.	III კვ.	IV კვ.	I კვ.	II კვ.
მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი	1 251.4	1 302.5	1 249.8	1 229.7	1 376.4	1 389.1
მათ შორის ფური და ფურ-კამეჩი	604.6	621.5	617.5	641.1	640.7	641.3
ღორი	315.6	320.6	326.2	191.2	186.1	210.0
ცხვარი და თხა	1 074.8	1 045.6	946.1	856.8	1 149.9	1 156.4
ფრინველი (ათასი ფრთა)	6 654.4	10 681.6	8 571.0	6 760.7	7 492.3	12 133.2

* წინასწარი მონაცემები.

საკონტაქტო პირი: ვასილ წაქაძე ტელ.: (+995 32) 36 72 10 (500). E-mail: vtsakadze@geostat.ge info@geostat.ge

მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება 2013-2014 წლებში

	2013				2014*	
	I კვ.	II კვ.	III კვ.	IV კვ.	I კვ.	II კვ.
ხორცი (დაკლული წონა, ათასი ტონა)	9.4	11.0	9.3	18.7	7.0	9.1
რძე (მლნ. ლიტრი)	105.1	209.3	179.9	110.5	107.2	221.7
კვერცხი (მლნ. ცალი)	125.4	132.2	110.7	126.9	120.4	144.6

* წინასწარი მონაცემები. დაზუსტებული მონაცემები ხელმისაწვდომი იქნება 2015 წლის 16 ივნისს.

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (სასოფლო მეურნეობათა შერჩევითი გამოკვლევა).

საკონტაქტო პირი: ვასილ წაქაძე ტელ.: (+995 32) 36 72 10 (500). E-mail: vtsakadze@geostat.ge info@geostat.ge
www.geostat.ge, info@geostat.ge